ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1971 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 17 (14927)

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲣᲨᲠᲔᲢᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲔᲜᲘᲐ ᲒᲕᲘᲜᲐᲗᲔᲑᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ.

ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲓᲔᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲐᲓ — ᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ, ᲪᲝᲓᲜᲐᲡ, ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲕᲐᲮᲛᲐᲠᲓᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲣᲛᲐᲜᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ — ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ „Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ᲓᲐᲕᲔᲣᲤᲚᲝᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲘᲓᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 17 (14927)

21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1971 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.



ᲓᲘᲠᲡᲚᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲛᲐᲦᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მაღაროელებმა კარგად დაიწყეს მეცხრე ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი. იანვრის პირველ კვირაში მაღაროელებმა მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს ასეულობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი. განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობენ ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის სახელობის მაღაროების და ცენტრალური დამცველი ფაბრიკის კოლექტივები.

ზეგეგმით მადანს იძლევიან იმ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც დ. კალაძე, ჯ. გვაზავა, ბ. კენჭოშვილი, ვ. ჩხიკვაძე, კ. ფორტოლაძე, ა. ხომასურიძე, ვ. ფანჩულიძე უძღვებიან.

ᲘᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ი. გოგიბერიშვილი) აქტიურად გამოეხმაურა თბილისის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას, ჩაება პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა გადიდებული ვალდებულებები.

გაგიდა დაძაბული შრომის პირველი ნახევარი. გამამდიდრებლებმა ახალი სამეურნეო წლის ანგარიშში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გაუგზავნეს ერთი ეშელონი საკოქსე კონცენტრატი. ყველაზე მაღალ შედეგს აღწევენ ის ცვლები, რომლებსაც გ. გელაძე და ზ. ბუბაშვილი ხელმძღვანელობენ.

ფაბრიკის ადმინისტრაცია იანვრის პირველ დღეებში შეუდგა მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლის დანერგვას. აქ მონტაჟდება გაუმჯობესებული ტიპის ჰორიზონტალური ცენტრაფუგა, რომელიც მნიშვნელოვნად გაადიდებს შუალედური პროდუქციის გამოშვებას და, რაც მთავარია, გაუმჯობესებს მის ხარისხს.

ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ვადაზე ადრე გადაჭარბებით გაანაღდა გასული ხუთწლედის დავალება, სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა.

მემდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება შესასრულოს 26 მარტისათვის, ხოლო კვარტალის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გაძლიერებას 5 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 1,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღოს 2 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება; დაზოგოს 9 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 3 ტონა პირობითი სათბობი, აითვისოს და გამოუშვას ორი ახალი მარკის მეშვიდე დონის ელექტროძრავა.

ქარხნის კოლექტივმა იანვრის პირველ ნახევარში პროდუქციის გამოშვების დავალება შეასრულა 102 პროცენტით, რეალიზაციისა — 105 პროცენტით.

ᲛᲔᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ

თბილისის კონიაკის ქარხნის (დირექტორი ო. რობაქიძე) კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა ხუთწლედის დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

მეკონიაკეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს შრომის ორგანიზაციის სრულყოფით, ეკონომიური ეფექტიანობის შემდგომი გადიდებით ვადამდე, 25 მარტისათვის შესასრულონ მემდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა; მანქანა-დანადგარებისა და სამუშაო ძალის კიდევ უკეთ გამოყენების შედეგად შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 2 პროცენტით; გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 50 ათასი მანეთით და საკმაოზლოს მისცენ 60 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

მომჭირნეობითა და ყაირათიანობით მიაღწიონ წარმოების დანაკარგების შემცირებას ნორმასთან. შედარებით, ყრილობის გახსნის დღეს, 30 მარტს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულით და გამოუშვან 10 ათასი ბოთლი კონიაკი.

ᲜᲐᲤᲐᲠᲔᲣᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲙᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). სამტრესტის ნაფარეულის ღვინის ქარხანა (დირექტორი გ. პაპუნაშვილი) უდიდესია რაიონში. მარტო შარშან ქარხანამ 13.350 ტონა ყურძენი მიიღო და გადაამუშავა, გეგმა კი 11.900 ტონას ითვალისწინებდა. ქარხნის მიერ გამოშვებულება სამარკო ღვინოებმა საკავშირო და საერთაშორისო დეგუსტაციებზე არაერთგზის დაიმსახურეს უმაღლესი შეფასება.

ქარხნის კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავროს პირველი კვარტალი. ნაფარეულელ მეღვინეთა სოციალისტური ვალდებულება ითვალისწინებს, რომ ღვინომასალების გამოშვებაში, დამუშავებისა და ჩამოსხმის ორი ახალი მარკის მეშვიდე დონის ელექტროძრავაში.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ, 20 იანვარი. (საკ-დესი). დღეს მოსკოვში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა. პლენუმის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები: კავშავშირული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შესვედრისათვის და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. პლენუმი განსჯის სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ბ. ტიაჟელნიკოვმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ᲡᲜᲐᲚᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადამზადების მუდმივადმოქმედ კურსებზე დაიწყო მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

მეცადინეობას, რომელიც ერთ თვეს გასტანს, შეუდგნენ პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიონების განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოების პარტიულ ორგანიზაციათა განთავისუფლებული მდივნები, მწარმოელთა დიუტატების სასოფლო და საბჭოთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი.

მეცადინეობის პერიოდში მსმენელებს წაუკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად საკითხებზე, მეცნიერული კომუნიზმის, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საფუძვლებზე. საღამოობით გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხთა შესწავლას. მოეწყობა პრაქტიკული მეცადინეობაც. (საკ-დესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲔ

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ კომუნისტთა კრება მიმდინარეობდა. სიტყვა ითხოვა კომუნისტური შრომის დამკვრელმა ბ. ქველაძემ. მან დინჯად, კონკრეტული ფაქტებით დაასაბუთა მაღაროში კომპლექსური ბრიგადების შექმნის აუცილებლობა-უპირატესობა და საკითხის საფუძვლიანი შესწავლა მოითხოვა.

ბ. ქველაძის წინადადება გულდასმით განიხილეს. ავტორს ესაუბრნენ ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო მუშაკები. იმედი დარწმუნდნენ კომპლექსური ბრიგადების შექმნის გონივრულობაში, და ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი კომპლექსური ბრიგადებით მუშაობაზე გადავიდა. ეს იყო ორი წლის წინათ.

ახალი მეთოდით მუშაობამ საუცხოო ნაყოფი გამოიღო. ამით ვაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამაღლდა მადნის ხარისხი, ამოქმედდა საწარმოო რეზერვები, მინიმუმამდე შემცირდა შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევები.

ამ გონივრულმა ღონისძიებამ, რომელიც სხვა მაღაროებშიც ინერგება, განაპირობა კალინინელთა წარმატებები. მათ ჭიათურაში პირველებმა შეასრულეს მერვე ხუთწლედი და ახალი წლის ანგარიშში სამშობლოს მისცეს 150 ათას ტონაზე მეტი სასაქონლო მადანი.

კომუნისტი ბ. ქველაძე ინიციატივიანი, საქმიანი, ახლის მაძიებელი მაღაროელია. იგი მაღაროს პარტბიუროს წევრი და პირველი საწარმოო უბნის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელია. ბიუროს სხდომებისა და პარტიული კრებებისათვის ხშირად ამზადებს საკითხებს. თავის შინაარსიან და პრინციპულ გამოსვლებში აკვლეს წარმოების გამოუყენებელ რეზერვებს, სახავს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლების გზებს.

ამიტომაც იყო, რომ ჭიათურელმა კომუნისტებმა თავიანთ საქალაქო კონფერენციაზე ბ. ქველაძე ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატად.

გადავხედოთ ყრილობის დელეგატს საწარმოო მაჩვენებლებს. მისმა ბრიგადამ ხუთწლიანი გეგმა 118 პროცენტით შეასრულა, ხოლო 1970 წლის დავალება — 136 პროცენტით. პირადად ბ. ქველაძემ ხუთწლედში სამშობლოს მისცა 16.966 ტონა მადანი — გეგმაზე 2.564 ტონით მეტი. მაღაროელებმა უკეთ დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. ბ. ქველაძის ბრიგადის მტკიცე გადაწყვეტილებაა სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის ოთხი თვის დავალება შეასრულოს.

ბიტკოო ქველაძე 1938 წლიდან მუშაობს მაღაროში. 1942 წლის თებერვლიდან არმიაში იყო. 1946 წლის მაისში დაუბრუნდა მშობლიურ მაღაროს და ახლა გვირაბგამყვანთა ბრიგადის თავკაცია.

მაღაროელის რომელი პროფესია გნებავთ, რომ ბ. ქველაძემ არ იცოდეს. იგი დოსტატებული მბურღავი, მებეგი, მნგრეველ-ამწენელი, რკინიგზელი, გვირაბგამყვანია. თავის მდიდარ საწარმოო გამოცდილებას ბიტკოო ხალისით უზიარებს ახალგაზდა მაღაროელებს.

ბ. ქველაძე მაღაროდან თავისუფალ დროს საკოლმეურნეო მინდვრებში შრომობს. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მან სოფელ ხალიფაურის კოლმეურნეობაში 8 ათასი კვადრატული მეტრი სიმინდის ყანა დაამუშავა.

შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით ბ. ქველაძემ ჭიათურელ მშრომელთა საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

Ა. ᲨᲘᲝᲙᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ბ. ქველაძე.

ᲒᲐᲐᲛᲠᲪᲔᲚᲔᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 20 იანვარი. (საკ-დესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დოკუმენტად გაავრცელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ხიტყვა ასიანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის დამთავრებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის აღსანიშნავად ასუანში გამართულ საზეიმო მიტინგზე.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲑᲝᲜᲜ. 20 იანვარი. (საკ-დესი). გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმმა განაცხადა მტკიცე პროტესტი იმ პროგრამაციის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთგერმანელმა ნეონაცისტებმა მოაწყეს სსრ კავშირის ბოთის საელჩოს შენობასთან.

ფედერალური მთავრობისაგან მოვითხოვთ განაზორციელოს ენერგიული ღონისძიებანი მემარჯვენე ექსტრემისტული ძალების წინააღმდეგ, ნათქვამია განცხადებაში.

ᲤᲠᲐᲜᲒ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 20 იანვარი. (საკ-დესი). ჩაფუშონ რეაქციული ძალების გეგმები ყველგან, სადაც შესაძლებელია, გააფართოონ და განამტკიცონ თავიანთი გავლენა და პოზიციები, ბიძგი მისცეს მუშათა და დემოკრატიულ ძალთა კავშირს — ასეთია მიზნები, რომელთაც ისახავენ ფრანგი კომუნისტები მომავალ მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც 14 და 21 მარტს გაიმართება. ამის შესახებ წერს დღეს „ლუმანიტეს“ მოწინავე სტატიაში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი უ. ფეიონი.

ე. ფეიონი გადაკრით იცხადებს, რომ ფრანგი კომუნისტები მხარს არ დაუჭერენ იმათ, ვისაც მემარცხენე ძალების წარმომადგენლებად მოაქვს თავი, მაგრამ ატყუებს ხალხს, ცდილობს დაუკავშირდეს რეაქციონერებს და აყენებს ერთიან სიებს.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲕᲝᲠᲘᲐᲥᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 20 იანვარი. (საკ-დესი). ინგლისის მთავრობის სპეციალური მრჩეველი სპარსეთის ყურის რაიონში ბრიტანეთის პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებში უილიამ ლუსი 22 იანვარს კვლავ მივეგზავნება ამ რაიონის ქვეყნებში. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, ლუსი ეწვევა საუდის არაბეთს, კუვეიტს, ბაჰრეინს, აბუ-დაბისა და დიბაის სამთავროებს, ომანის სასულთნოს.

ლონდონში არ მალავენ, რომ მისი მოგზაურობის მიზანია დაარწმუნოს ყბადაღებული „სპარსეთის ყურის სამთავროთა ფედერაციის“ შექმნა, რომელიც ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი იქნება.

ᲙᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲗᲘ. 20 იანვარი. (საკ-დესი). ᲯᲐᲜᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲘᲛᲘᲬᲛᲔᲑᲡ ᲥᲛᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐ ᲝᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ 1-15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲛᲐ ᲫᲚᲔᲑᲑᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ № 4 ᲒᲐᲖᲢᲘᲪᲔᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲓᲔᲓᲝᲐᲥᲐᲠᲚᲘᲡ ᲐᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲗᲐᲜ, ᲛᲣᲨᲝᲑᲠᲘᲝᲑᲓᲐᲜ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲛᲬᲘᲚᲔ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲛᲝᲡᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲗ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ, ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲓᲠᲘᲜᲒᲘ, ᲛᲝᲡᲠᲘᲡ 28 ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲠᲝ ᲛᲘᲜᲬᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲮᲚᲔᲗ ᲘᲧᲝᲓᲐ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲘᲐᲠᲘᲚᲘ.

ᲔᲮᲔᲑᲐ ᲠᲐ ᲐᲛ ᲪᲜᲝᲑᲐᲖᲔ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲓᲘᲜᲘ ᲖᲘᲜᲘ“ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ № 4 ᲒᲐᲖᲢᲘᲪᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲰᲬᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ, ᲛᲨᲕᲔᲚᲐᲠᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲐ“.

Ჯ. ᲛᲐᲙᲭᲝᲕᲔᲠᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 20 იანვარი. (საკ-დესი). დემოკრატმა სენატორმა ჯ. მაკგოვერნმა, რომელმაც ოფიციალურად წამოაყენა თავისი კანდიდატურა დემოკრატიული პარტიისგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე, კონგრესში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მოითხოვს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების მთლიანად და რაც შეიძლება მალე გამოყვანას.

საიგონის თხიეუ-კის რეჟიმის მედი, ბაზგასმით აღნიშნა მან, უნდა გადაჭრას ვიეტნამელმა ხალხმა, და არა ამერიკის ჯარებმა, რომელთა დახმარებით იგი ინარჩუნებს ძალაუფლებას.

მაკგოვერნმა განაცხადა, რომ სენატორ მენსფილდთან ერთად იგი კვლავაც მოითხოვს დასავლეთ ევროპაში განლაგებული ამერიკის ჯარების რიცხვის შემცირებას.

სენატორის აზრით, გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შენელების საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების დადება ორივე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების შესაბამისი იქნება.

ᲡᲐᲡᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

● ᲓᲘᲓᲘ წარმატებებისათვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამთამადნო და მეტალურგიული მრეწველობის დასავლეთგერმანული ხუთწლედის გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქალაქი ბრმენი რსფსრ დაჯილდოდა ლენინის ორდენით.

● წარმატებებისათვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სამრეწველო წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოსკოვის ოლქის ქალაქი პოდოლსკი დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

● წარმატებებისათვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სამრეწველო წარმოების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ირკუტსკის ოლქის ქალაქი ანგარსკი დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით. (საკ-დესი).

ვ. ი. ლენინი და საქართველო

მონოგრაფია დიდ გელადზე

ლენინურ პრობლემატიკაზე დაწერილი არა ერთი და ორი წიგნით გაუხარია მკითხველი გამოჩენილ მეცნიერს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ვარლამ ესაიაშვილს. იგი თითქმის ორი ათეული წელია მუშაობს ამ თემატიკაზე. მისმა ასამდე სამეცნიერო სტატიამ, რამდენიმე ბროშურამ და მონოგრაფიულმა გამოკვლევებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა არა მარტო სპეციალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო მასებს შორისაც.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა მისი ახალი ფუნდამენტური ნაშრომი „ვ. ი. ლენინი და საქართველო“ რუსულ ენაზე. ეს წიგნი ჭეშმარიტად ენციკლოპედიური ხასიათისაა, მოიცავს გელადის საქართველოსთან ურთიერთობის ყველა სფეროს და ნამდვილად დიდი შენაძენია საბჭოთა ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში.

სარეცენზიო წიგნის თითქმის თავში თემატურად დალაგებულია რევოლუციურ საქართველოსა და მის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან დიდი გელადის მჭიდრო ურთიერთობის ყველა კონკრეტული ფაქტი. ავტორმა შეუპოვარი, ხანგრძლივი მეცნიერული ძიების შედეგად მიაკვლია, გამოავლინა და სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანა მრავალი ლენინური მასალა და დოკუმენტი, რომელთა ღრმა სიფუძვლიანი შესწავლით მოხერხდა საქართველოსთან დიდი გელადის ურთიერთობის, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მთელი რიგი ფაქტებისა და მოღვაწეობის ახსნა და ახლებურად გარკვევა. პროფესორ ვარლამ ესაიაშვილის დიდი ლიტერატურული ოსტატობითა და პუბლიცისტური მგზნებარებით დაწერილი ეს ფრიად საინტერესო წიგნი პირველად გვაძლევს მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას ლენინთან ქართველი კომუნისტების მრავალმხრივ ურთიერთობაზე.

ლენინური დოკუმენტების ძიებისა და მეცნიერული ანალიზის დროს ვარლამ ესაიაშვილი მუდამ ხელმძღვანელობს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვით, რომელიც ლენინის ინსტიტუტის დაარსებასთან დაკავშირებით 1923 წლის 8 ივლისს გამოქვეყნდა. მიმართვაში ვკითხულობთ: „რკპ (ბ) წევრებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ქაღალდის ყოველი პატარა ნაგლეჯი, რომელზეც ვ. ი. ლენინის ხელმოწერა ან მის მიერ გაკეთებული რაიმე ნიშანია, შესაძლოა დიდი შენაძენი გახდეს მსოფლიო რევოლუციის ბელადის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში...“

სარეცენზიო წიგნს წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ისტორია განუყოფელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან, ლენინმა და მის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ აღორძინებაში, მსოფლიო განვითარების ფართო გზაზე გამოსვლაში. წიგნის პირველი თავები დიდ დოკუმენტურ და ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს, რომ ვლადიმერ ლენინმა ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გაღიერაჟზე დაამყარა კავშირი საქართველოსთან და რომ ეს კავშირურთიერთობა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, რომ ბელადი კარგად იცნობდა ქართველი მუშებისა და გლეხების დუხჭირ ცხოვრებას, ყურს უგდებდა მათს მაჯისცემას, რომ იგი უმალვე გამოეხმაურა მათს პირველ რევოლუციურ ნაბიჯებს. ლენინი ჯერ კავშირს ამყარებს, ხოლო შემდეგ, 1901 წლიდან მიწერ-მოწერას იწყებს საქართველოს სოციალ-დემოკრატებთან, ბოლშევიკური ორგანიზაციებთან და თავისი ბრძნული რჩევა-დარიგებით წარმართავს მათს ბრძოლას მემამულეებისა და კაპიტალისტების, მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

პარტიის ბელადი პირადად იცნობდა საქართველოს პროფესიონალ რევოლუციონერთა დიდ უმრავლესობას. ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ: მალაქია ტოროშელიძე, მიხა ცხაკაია, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, აბელ ენუქიძე, მიხეილ დავითაშვილი, ნიკოლოზ კიკნაძე, პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე, ვანო სტურუა, მელიტონ ფიღია, ანდრო ლეფავა. არა ერთი და ორი შეხვედრა, საუბარი თუ მიწერ-მოწერა ჰქონდათ ბელადთან ნოე ბუაჩიძეს, ფილიპე მახარაძეს, შალვა ელიავას, სერგო ქავთარაძეს, ვლადიმერ ბუქაურს, ვასილ კიკვიძეს, ნესტორ კალანდარაშვილს, პლატონ იამვილს, ვლადიმერ ჯიქიას, ეპიფანე კვანტალიანს, მიხეილ მებურიშვილს, ლუკიანე თაბუკაშვილს, ვასილ კანდელაკს, დავით ქილარჯოშვილს, დავით სულიაშვილს და ბევრ სხვას.

ავტორი მრავალი ახლად მიკვლეული დოკუმენტით, საარქივო მასალებით თუ ნაკლებად ცნობილი ლიტერატურული წყაროებით ნათელყოფს, თუ რა კარგად იცოდა ბელადმა საქართველოს ისტორია და ქართველი ხალხის კულტურა, რა კარგად იცნობდა თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ფოთს, სოხუმს, ჭიათურას, ტყვარჩელს, გორს, ბორჯომს, ახასთუმანს, ბაშურს, შორაპანს, ლაგოდეხს, გურიას და სამეგრელოს, რაჭასა და ლეჩხუმს, თუმცა ამ ადგილებში არასოდეს ფეხი არ დაუდგამს.

უამრავი ფაქტიური მასალის მეცნიერული ანალიზის შედეგად, პროფესორი ვარლამ ესაიაშვილი პირველად საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ არ არის რევოლუციური მოძრაობისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებაც ვ. ი. ლენინს არ გამოეთქვას თავისი შეხედულება და არ მიეცეს რჩევა და სახელმძღვანელო მითითება. წიგნის მე-12 თავი — „ვ. ი. ლენინი საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესახებ“ — მეცნიერული დამჯერებლობით გვიჩვენებს, თუ როგორ ზრუნავდა ბელადი საქართველოში სოციალიზმის მშენებლობაზე, პირველმა როგორ შეიმუშავა აქ ახალი საზოგადოების აშენების ამოცანები, რა გზები და საშუალებები დასახა მის განსახორციელებლად. ამასთან ლენინმა მეცნიერული სიცხადითა და სიღრმით განსაზღვრა სოციალიზმის მშენებლობაში ქართველი კომუნისტების ტაქტიკის თავისებურებანი. იგი მამობრივი მზრუნველობით ურჩევდა ამიერკავკასიის და მათ შორის საქართველოს კომუნისტებს შეეგნოთ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეეგნოთ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“.

წიგნის ბოლო თავები მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ეწადათ ქართველ კომუნისტებს, მთელ ქართველ ხალხს ეხილათ საყვარელი ბელადი საქართველოში, როგორ ემზადებოდნენ ღირსეული შეხვედრა მოეწყოთ რევოლუციის გენიისათვის, შეექმნათ მისთვის მკურნალობისა და დასვენების საუკეთესო პირობები; ბოგორი, ეშმარიტად, უსაზღვრო სიყვარულით უყვარდა ქართველ ხალხს ადამიანი, ვინაც „წიგნია ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურად წასაკითხავი“. ყოველივე ამის შესახებ კარგად უთქვამს პოეტ ოთარ ჭელიძეს:

„ახმიანდა ქართლ-კახეთი,
ხევი, მესხეთ-ჯავახეთი,
სამეგრელო, აფხაზეთი,
რაჭა, ფშავი და სვანეთი,
ჩრდილოეთი და სამხრეთი,
ყველა სახლი, ყველა ოდა
ლენინს სტუმრად მოელოდა“.

აკ. ირემაძე.



სურათზე: ვ. ესაიაშვილის წიგნის „ვ. ი. ლენინი და საქართველო“ გარეკანი.

მეტი პროდუქტები — ოსახლეობას

ფართოვდება, თანამედროვე ტექნიკით იღებურება რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობა

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივები წარმატებით შრომობენ სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შემქმნელ 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად. ამ შეჯიბრებაში მოპოვებულია ახალი შრომითი გამარჯვება — ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულდა მერვე ხუთწლიანი გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 13.500 ტონა ხორცი, 1.500 ტონა ძეხვეული, 200 ტონა ნახევარფაბრიკატები, 1.600 ტონა ყველი, 500 ტონა საღი რძის პროდუქცია, სულ 30 მილიონი მანეთის პროდუქცია. ხუთწლედის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს თბილისის რძის კომბინატმა, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წიფელწყაროს ყველ-კარაქის მთავარი ქარხნებმა, თბილისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, თელავის, რუსთავის ხორცკომბინატებმა.

ესოდენ დიდი შრომითი წარმატების მოპოვება განაპირობა ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებში ახალი მანქანა-დანადგარების, ხოლო საწარმოო პროცესებში მექანიზაციის დანერგვამ, პროგრესული ტექნოლოგიის განხორციელებამ, წარმოების სპეციალიზაციამ. საწარმოებში დაიდგა ახალმა პრეპარატებმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

თბილისის ხორცკომბინატში ამუშავდა ნახევრად ავტომატური ბრიგადა ბერეთელის ძეხვეულის გამომშვები ავტომატური ხაზი, ხოლო სოსლისს საამქროში დადგმულია ხელოვნურ გარსში სოსლისის წარმოების აგრეგატი. ეს აგრეგატი წარმოების მაღალ კულტურასთან ერთად საგრძნობლად ამცირებს შრომითს დანახარჯებს და აუჯობებენს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. სოსლისს საამქროს გაფართოებითა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის შედეგად გაუმჯობესდება ამ პროდუქციით თბილისის მოსახლეობის მომარაგება.

საბჭოთა მეურნეობებიდან, კოლმეურნეობებიდან და მოსახლეობიდან დიდი რაოდენობით ღორის ჩაბარებამ გაზარდა რესპუბლიკის ხორცის რესურსები და მრეწველობის წინაშე დაყენა საკითხი გადიდდეს ამ ხორცის რეალიზაცია. ამ მიზნით მრეწველობამ გაზარდა ისეთი ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვება, რომელზეც შრომატენტადი მეტი რაოდენობით იხარჯება ღორის ხორცი; ამჟამად ყოველდღიურად მომზადარებელ ეგზემპლარს 4-5 ტონა შებოლილი პროდუქცია (ლორი). ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება კვლავ დიდია. ამიტომ მოკლე ხანში კიდევ უფრო გაიზრდება მისი გამოშვება.

ფიქრები ჩვენს ზვრებზე

სიმეჩხრე რომ არ იწოს...

გასულ წელს საქართველოს მევენახეებმა ჩინებულად მოირთვლიანეს, ამდენი ყურძენი არასოდეს არ დუმშადებიათ. ბევრმა საზოგადოებამ მეურნეობამ, მართალია, გეგმები გადამეტებით შეასრულა, მაგრამ სიმეჩხრე რომ არ ყოფილიყო, უფრო მეტი იქნებოდა ყურძნის მოსავალი. ახლა ზამთარია, ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ ჩვენი მევენახეები და სიმეჩხრის წინააღმდეგ მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ. იმის შესახებ, თუ რა ზიანი მოაქვს სიმეჩხრეს, როგორ მატულობს მოსავლიანობა სიმეჩხრის ლიკვიდაციით და იაფდება პროდუქცია, მოგვითხრობს ქვემოთ დამებეჭდილი პროფესორ ნ. მალუქის სტატია. ჩვენს მკითხველებს ვთხოვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ამ საკითხზე.

მევენახეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია. მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ვენახის მოვლა-პატრონობის წესები და ღვინის დაყენების ტექნოლოგია საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა. მიუხედავად ვაზის კულტურის ასეთი დიდი სიყვარულისა, პირველ მსოფლიო ომამდე ვენახებს ჩვენში ბევრი თუ ისე დიდი ფართობი ეჭირა. 1913 წლამდე ზვრები 52 ათას ჰექტარზე იყო გაშენებული.

შემდგომ წლებში ფილოქსერამ გაანადგურა ვენახები, და 1921 წლისათვის 36 ათასი ჰექტარიღა იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად მევენახეობა აღორძინდა. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სათანადო ყურადღება მიაქციეს ამ დარგს, და უკვე 1940 წლისათვის რესპუბლიკაში ვენახები 69,8 ათასი ჰექტარზე იყო გაშენებული. სამამულო ომის წლებში ზვრების ფართობი საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ შემდგომ პერიოდში და განსაკუთრებით უკანასკნელ ათ წელიწადში მევენახეობა არნახულად განვითარდა. გასული წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში 113,2 ჰექტარი ვენახები იყო, ეს სამჯერ მეტია იმაზე, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდა.

ცნობილია, რომ ძველათ ვენახები პატარა ფართობებზე შენდებოდა. ჰექტარზე 8-10 ათასი ძირი ვაზი ირგვებოდა. ახლა ასე აღარ არის. ვენახების გაშენების ახალ მეთოდზე გადასვლის შემდეგ, წინანდელთან შედარებით ყოველ ჰექტარზე ორ-ორნახევარჯერ ნაკლები ვაზი ირგვება. თქმა არ უნდა, საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე წინანდელი ვერ იქნება. მართალია, ახლა დიდი ყურადღება ექცევა თვითეული ვაზის მაქსიმალურად დატვირთვას, მაგრამ მოსავლიანობის უზომოდ გადიდება მაინც ძნელია. მოსავლიანობის სრულყოფილათვის ჩვენი და საერთოდ გამოცდილი მევენახეებისა და სპეციალისტების აზრით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შენარჩუნებულ იქნას ყოველი დარგული ვაზი.

წინათ ვენახები ვიწრო მწკრივად შენდებოდა, ამასთან მწკრივებში ვაზები უფრო ახლო-ახლოს ირგვებოდა და შემდეგში გაცდენილი ადგილების შევსება ჩაწიდვნითა და ბადაწვენით შედარებით იოლი იყო. ცხადია, ამ შემთხვევაში სიმეჩხრე მცირე იყო და მოსავლიანობაც უხვი.

ახლა ვენახები სულ სხვა სისტემით შენდება. მძლავრმა ტექნიკამ რიგთა შორის მანძილის გაფართოება მოითხოვა, ამასთან მწკრივები ვაზები უფრო შორი-შორს ირგვება, ვიდრე წინათ. ამან კი ვაზის რაოდენობა ჰექტარ ვენახში ერთგვარად შეამცირა. ამას შედ ერთვის ისიც, რომ ზოგან სიმეჩხრის პროცენტი ძალიან დიდია. ასეთ პირობებში ვენახში მოუსავლიანი ფართობი იზრდება, მატულობს პროდუქციის თვითღირებულება.

ვენახების გაშენების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა ვიწყებდეთ სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლას, თორემ შემდეგ უფრო მეტი შრომის დახარჯვა დაგვჭირდება. ხომ ცნობილია, როგორ ამცირებს მოსავლიანობას სიმეჩხრე. მაშ რატომ ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში არ იბრძვიან მის წინააღმდეგ? რატომ აყოვნებენ ახალშენ ვენახებში გაცდენილი ადგილების თავის დროზე შევსებას?

საკავშირო აღწერის მასალებიდან ცხადი ხდება, რომ ვენახების სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ ჩვენში არასახარბიელო მდგომარეობაა. 1940 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ვენახებში სიმეჩხრე იყო 11,1 პროცენტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 10,3 პროცენტი. 1962 წელს კი კოლმეურნეობათა ვენახებში სიმეჩხრე 21,3 პროცენტს უდრიდა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 18,6 პროცენტს. შემდგომში, ახალი ცნობების მიხედვით სიმეჩხრის პროცენტი საზოგადოებრივ მეურნეობათა ვენახებში არ შემცირებულა, ამასთან ვაზის რაოდენობა საშუალოდ ჰექტარზე 2.600 ძირამდე დავიდა. ეს, რა თქმა უნდა, მოსავლიანობაზე უარყოფით დადგენას ახდენს.

1964-1968 წლების მონაცემების მიხედვით საქართველოში საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 36,2 ცენტნერი იყო. თუ ვენახებში სიმეჩხრე, ვთქვათ, 20 პროცენტი იქნება, რაც სინამდვილესთან ახლოა, მაშინ დანაკლისი საშუალოდ ჰექტარზე 7 ცენტნერი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 35 ათას ჰექტარ მსხმოიარე ვენახებში საერთო დანაკლისი 25 ათასი ტონა იქნება. ყურძნის სახელმწიფო შესასყიდი ფასების (საშუალოდ ტონა 400 მანეთი) მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ წელიწადში ზარალი 10 მილიონ მანეთს უდრის. ეს კი ფიქრს ზარალს ნახულობენ ყოველწლიურად საზოგადოებრივი მეურნეობანი.

ამჟამად კოლმეურნეობების განკარგულებაშია 43 ათასი ჰექტარი ვენახი. უახლოეს ხანში ეს ვენახები მთლიანად სრულმოსავლიანი იქნება. თუ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობას 50 ცენტნერამდეა ავიყვანთ და სიმეჩხრე ისევ 20 პროცენტი იქნება, მაშინ მოსავლის დანაკლისი დაახლოებით 75 ათასი ტონა იქნება, რაც 30 მილიონ მანეთს უდრის.

ვენახებში სხვა მხრივაც გვაქვს ზარალი, რაც გამოწვეულია უსარისხო გასხლეტითა და მწვანე ოპერაციებით; ყურძნის კრეფის დროსაც არის დანაკლისი, რაც 10 პროცენტს უდრის. ასე რომ სიმეჩხრისაგან გამოწვეული დანაკლისს ესეც ემატება და ზარალი უფრო დიდდება.

ერთი სიტყვით, ზარალი უზარმაზარ თანხას შეადგენს. ეს კი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ვენახის სიმეჩხრის გამომწვევი მაჭაში მთელ ჩვენს ქვეყანაში ერთია. ეს არის ის, რომ ახალშენ ვენახებში დროულად არ შეაჯსებენ ხოლმე გაცდენილ ადგილებს. მაგრამ საქართველოსათვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სავენახე მიწები ჩვენში არც თუ ისე ბევრია, და სწორედ ამიტომ რაც გვაქვს, ის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. საქართველოში დასამუშავებელი მიწის ფართობი ხომ 1.100 ათასი ჰექტარია? აქედან 800 ათასი ჰექტარი სახნავია, ხოლო 300 ათასი ჰექტარი მრავალწლიან ნარგავებს — ვენახებს, ბაღებს, ჩაის პლანტაციებს, ციტრუსებს უჭირავს. ამით ცხადი ხდება, თუ რა ძნელია სავენახე მიწების გამოყოფა. ამას ითქმება ვამბობთ, რომ სახნავ-სათესი მიწების ხარჯზე ვენახების გაზრდა სარისკოც არის, იმიტომ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში მეცხოველეობასაც ხომ საპატიო ადგილი უჭირავს და მეტად საჭირო დარგია. მეცხოველეობის განვითარება კი სავენახე ბაზის განუმტკიცებლად შეუძლებელია. ასე რომ ვენახების შევსება აუცილებელია, ვინაიდან ყურძნის მოსავლიანობის გადიდება სწორედ სიმეჩხრის ლიკვიდაციით უნდა მოხდეს. სხვა საშუალებებთან ერთად სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოც. გ. მანჯავიძის მიერ რეკომენდებული მეთოდი.

არის სხვა თავისებურებებიც. უკანასკნელ წლებში კახეთის რაიონებში ბევრ ადგილას ბაღებს ანაცვლებენ ვენახებით. ეს ასეთ ადგილებში ეკონომიურ მოვლენად ითვლება, ეკონომიურ-ეკონომიკურ ეფექტს ბევრ ადგილას ბაღებიდან ნაკლებ ეფექტს ვენახებიდან ვიღებ. ეს ასეთ ადგილებში

კლასობრივი ბრძოლების ავანგარდში



1921 წლის 21 იანვარს, როცა იტალიის სოციალისტური პარტიის XVII ყრილობის მუშაობის დროს ქალაქ ლივორნოში, სხდომათა დარბაზიდან მუშათა ჰიმნის „ბანდიერა როსას“ სიმღერით გამოვიდა დელეგატთა დიდი ჯგუფი, ესენი იყვნენ პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები, რომლებმაც გადაჭრით გაიღიმეს ბორდიგა-ტურის მთელი ოცი წლის პერიოდის განმავლობაში და მთელი ამ წლების მანძილზე ანტიფაშისტურ გამოსვლების მთავარი ძალა იყო მუშათა კლასის ავანგარდი — კომუნისტური პარტია.

შემთხვევით როდი იყო, რომ ფაშისტთა განსაკუთრებული ტრიბუნალის მიერ მსჯავრდებულთა დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ კომპარტიის წარმომადგენლები, რომლებსაც სულ მიესჯათ 23 ათასი წელი პატიმრობა. ფაშისტთა დილეგებსა და გადასახლებაში, ემიგრაციაში, ესპანეთის მიწაზე რეაქციისა და ფაშიზმის ძალების წინააღმდეგ მებრძოლი ინტერნაციონალური ბრიგადების შემადგენლობაში გროვდებოდა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება, იწრთობოდნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი კადრები, რომლის რიგებიდან გამოვიდნენ იტალიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორიც არიან ა. გრამში, პ. ტოლიატი, დ. დი ვიტორიო, ლ. ლონგო და ბევრი სხვა.

1943 წელს, როცა საბჭოთა არმის გამარჯვებათა შედეგად გადამწყვეტი გარდატეხა მოხდა მეორე მსოფლიო ომში, იტალიაში იქმნება ხელშემწყობი პირობები ფაშიზმის წინააღმდეგ მასობრივი შეიარაღებული ბრძოლის განსაზღვრულად. იტალიელი კომუნისტები იყვნენ თავიანთ ქვეყანაში ფართო პარტიზანული მოძრაობისა და უწინარეს ყოვლისა სახელოვანი გარიბალდელთა ბრიგადების შექმნის ინიციატორები და მთავარი ორგანიზატორები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობაში.

წინააღმდეგობის მოძრაობამ სერიოზულად შეცვალა პოლიტიკური ძალების განლაგება იტალიაში, იგი იყო მონარქიის ლიკვიდაციისა და იმის წინამძღვარი, რომ 1947 წლის დეკემბერში მიედოთ რესპუბლიკური კონსტიტუცია. კონსტიტუციაში მემარცხენე ძალებისა და უწინარეს ყოვლისა კომუნისტების დაჟინებული მოთხოვნით შეიტანეს მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც შეესაბამებიან მშრომელთა ინტერესებს.

ხელმძღვანელობდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრებით, მოქმედებდა მისი საერთო პრინციპების შესაბამისად და კონკრეტული ეროვნული პირობების გათვალისწინებით. იტალიის კომპარტია ნახევარსაუკუნოვანი თავდადებული ბრძოლის შედეგად დღეს გადაქცეა დიდ საერთო-ეროვნულ ძალად, რომელიც თავისი ქვეყნის ხალხის ფართო მასების მზარდი მხარდაჭერით სარგებლობს. დღეს მის რიგებში გაერთიანებულია მილიონ ნახევარზე მეტი კაცი. მარტო 1970 წლის განმავლობაში, რომელიც ლენინური გაზეთის წლად იყო გამოცხადებული, იტალიის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა 102 ათასი ახალი წევრი. პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში კომუნისტური პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა 8,5 მილიონზე მეტმა კაცმა — ყველა ამომრჩევლის 26,9 პროცენტმა. იტალიელი კომუნისტები, რომლებიც მფლობენ იტალიელ მშრომელთა კლასობრივ ბრძოლებს, არიან მძლავრი საგაფიცავო მოძრაობის პირველ რიგებში, თანამიმდევრულად და ბეჯითად იბრძვიან. მთელი მემარცხენე, დემოკრატიული ძალების შეკავშირებისათვის, ფართო ანტიმონოპოლისტური კავშირის შექმნისათვის. იტალიის კომუნისტური პარტია აყენებს ქვეყნის ეკონომიური და სოციალური ცხოვრების ისეთი ძირეული გარდაქმნების პროგრამას, რომლებიც შეესაბამებიან მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამ მიზნებისათვის ბრძოლა, აღნიშნა თავისი გამოსვლის დროს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის თათბირზე იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ე. ბერლინგუერმა, ეხმარება მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების განიმსჭვალონ იმის შეგნებით, რომ „იტალიის ეკონომიური, სოციალური, კულტურული პროგრესისა და დემოკრატიის დიდი პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საზოგადოების თვით საფუძვლების გარდაქმნის გზით, ესე იგი სოციალისტური რევოლუციის გზით“.

კომუნისტების ხელმძღვანელობით იტალიის პროლეტარიატის სბრძოლო გამოსვლები დამაჯერებლად უარყოფენ ყალბ „თეორიებს“ იმის შესახებ, თითქოს დასავლეთის პროლეტარიატი შერწყმოდეს ბურჟუაზიულ სისტემას, აღარ იყოს რევოლუციური.

დღევანდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, იტალიის კომუნისტური პარტია ცდილობს მასები აღზარდოს რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით რეაქციის ხრიკების წინაშე.

იტალიელი კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობენ თავისი რიგების ორგანიზაციული და იდეური განმტკიცებისათვის, ფართო პროპაგანდას უწევენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს. ამ მუშაობის დონის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის მიერ მოწყობილ მასობრივ კამპანიას, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის დღესასწაულს.

იტალიელი კომუნისტები აქტიურად მოითხოვენ იტალია, რომ გამოვიდეს ნატოს აგრესიული ბლოკიდან, რომ დამყარდეს მტკიცე უშიშროება ევროპის კონტინენტზე და ხმელთაშუა ზღვის რაიონში, მასებს რაზმავენ ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიის შეწყვეტისათვის საბრძოლველად, თავის ქვეყანაში აწყობენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან სოლიდარობის ფართო მოძრაობას.

ოქტომბრის დროშით შობილი იტალიის კომუნისტური პარტია თავის წევრებს ზრდის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით.

თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს იტალიის კომუნისტური პარტია ეგებება როგორც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი რაზმი, იტალიის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის აღიარებული ავანგარდი.

საბჭოთა ადამიანები, როგორც მტკიცე ინტერნაციონალისტები, დიდი ინტერესითა და ყურადღებით ადევნებენ თვალს მომმე პარტიების საქმიანობას საზღვარგარეთის ქვეყნებში, ხარობენ მათი წარმატებებით. მთელი ჩვენი მოძრაობის გამარჯვებათა საწინდარი არის პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

იტალიის კომუნისტური პარტიის იუბილეს დღეს საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი იტალიის კომუნისტებს უსურვებენ ახალ წარმატებებს ბრძოლაში იტალიელი ხალხის ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. (საკდესი).

* * *

სურათზე: იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა რომში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტი

□

ხოფია

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბილიკამ ბულგარეთის ყოველკვირეულ „პოგლედისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მაღალი შეფასება მისცა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციათა ამასწინანდელ მოლაპარაკებას.

შეეხო რა დოკუმენტს „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაკვეთილები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIII ყრილობის შემდეგ“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის დეკემბრის პლენუმმა მიიღო, ვ. ბილიკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად გავიგოთ კრიზისის განვითარება და ზიანები ჩეხოსლოვაკიაში.

ვ. ბილიკამ ხაზი გაუსვა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტებისათვის, არამედ ეგი ავრეთვე წვლილი იქნება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

ჩვენ, აღნიშნა დასასრულ ვ. ბილიკამ, კომუნისტურ ლენინურ-ლენინურ-ოთხ [illegible] წარმატებები, ამამედ ჩვენი [illegible] ტაციდეს, შექმნას სიძნელენი, რომლებიც ხელს შეუშლიან სოციალიზმის წარმატებით განვითარებას. (20 იანვარი. საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობა

19 იანვარს მოსკოვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტექნიკური განვითარებისა და კაპიტალდაბანდების სამინისტრომ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის გეგმას.

გეგმაში, რომელიც გათვალისწინებულია 1971-1972 წლებისათვის, განსაკუთრებული უურადღება ეთმობა მთავრობათაშორისი შეთანხმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე უდიდესი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემების ერთობლივი დამუშავების ეფექტიანობის ამაღლებას. მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი მუშაობა სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის დაგეგმვისა და მართვის, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროგნოზირების დარგში. (საკდესი).

□

ა. გრამშის ექვსტომეული

რომი. 20 იანვარი. (საკდესი). რომის პროგრესულმა გამომცემლობამ „ედიტორი რიუნიტიმ“ გამოუშვა ახალი ექვსტომიანი გამოცემა იტალიის კომპარტიის დამაარსებლის ანტონიო გრამშის ცნობილი „საპატიმროს რვეულებისა“, რომელიც მან ფაშისტურ დილეგში დაწერა. ამ გამოცემის შესავალი სტატია ეკუთვნის იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ლუჩანო გრუპის.

„საპატიმროს რვეულების“ ცალკეული თავები გამოქვეყნებული იყო რუსულ ენაზე საბჭოთა კავშირში.

აგრესორთა გასამართლეგა

კონაკრი

გვინეის რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომლის თანახმად ქვეყნის ამ საკანონმდებლო ორგანოს ენიჭება უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის რწმუნებანი 1970 წლის 22 ნოემბრის პორტუგალიის აგრესიის გარემოებათა გამოსაძიებლად.

ეროვნულმა კრებამ უნდა განსაზღვროს იმპერიალისტური დაქირავებულების სასჯელის ზომა, რომლებმაც ხელყვეს გვინეის რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა.

კონაკრიში გამართულ ეროვნული კრების საგანგებო სესიაზე გამოვიდნენ მთავრობის წევრები, ჯარის, პროფკავშირებისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ყველამ მოითხოვა, რომ მკაცრად დაისჯონ პორტუგალიელი დაქირავებულები და მათი დამქაშები.

სესიაზე გამოვიდა აგრეთვე პრეზიდენტი სეკუ ტურე, რომელმაც გულისწყრომით დაგმო ნატოს აგრესიული ბლოკის წევრი ქვეყნების მხარდაჭერით მოქმედი პორტუგალიელი აგრესორები. გვინეის სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა ის ერთიანობა და შეკავშირება, რაც აფრიკის ხალხებმა გამოავლინეს იმპერიალისტური საფრთხის წინაშე.

პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სრულ მხარდაჭერას, რომელიც გვინეას გაუწიეს სოციალისტურმა ქვეყნებმა.

(20 იანვარი. საკდესი).

ლონდონი

იზრდება უმუშევრობა

უახლოეს დროში ინგლისში 750 ათასი უმუშევარი იქნება, თუ მთავრობამ არ შეიცვალა თავისი ეკონომიური პოლიტიკა, განაცხადა ტრანსპორტისა და არაკვალიფიციური მუშების უდიდესი პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ჯეკ ჯონსმა.

გუშინ ლონდონში მან განაცხადა, რომ „უმუშევრობის ახლანდელი ზრდა კატასტროფულია“ და მთავრობას მოუწოდა მისი ლიკვიდაციის ერთ-ერთ ღონისძიებად შეამციროს ბანკის დისკონტი, რათა გაფართოვდეს საქმიანი აქტივობა.

კონსერვატიული მთავრობა მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში ჩადგა 1970 წლის ივნისში, თუმცა ამას აშკარად არ აცხადებს, მაგრამ არსებითად განაგრძობს ვილსონის ლეიბორისტული მთავრობის პოლიტიკას — საქმიანი აქტივობის შეზღუდვის გზით ეკონომიკის „გაჯანსაღების პოლიტიკას“.

ამის უშუალო შედეგია ის, რომ ინგლისში თვიდან თვემდე იზრდება უმუშევრობა. თუ 1970 წლის ივლისში 607 ათასი ინგლისელი იყო უმუშევარი, ოქტომბერში ასეთი იყო უკვე 633 ათასი, დეკემბერში კი — 657, რაც ყველაზე მაღალი დონეა ამ ბოლო 30 წლის მანძილზე.

დასავლეთი ბერლინი

თარეშობენ...

დასავლეთ ბერლინში მოკალთებული ნეონაცისტური და მემარჯვენე-ექსტრემისტული ორგანიზაციები და ჯგუფები არ წყვეტენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას, რომლის მიზანია გააძლიერონ დაძაბულობა ქალაქში. ამას ცხადყოფს დასავლეთ ბერლინის პარლამენტის უშიშროებისა და წესრიგის საკითხთა კომისიის სხდომის მასალები, რომლებიც აქ გამოქვეყნდა.

სხდომაზე მოისმინეს შინაგან საქმეთა სენატორის ანგარიში, რომლის თანახმადაც 1970 წელს დასავლეთ ბერლინში ოფიციალურად აღირიცხა ამ უკიდურესად რეაქციული ძალების 80-ზე მეტი შემთხვევა. ფაქტიურად კი ნეონაცისტთა გამოხდომების რაოდენობა გაცილებით უფრო მეტი იყო, განსაკუთრებით ქალაქის რკინიგზაზე, რომელიც დასავლეთ ბერლინს აკავშირებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქთან (ეს რკინიგზა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნის).

გაზეთი „დერ ტაგესშპიგელი“ აღნიშნავს, რომ, „გარდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისა, სენატისათვის ცნობილია ბევრი მემარჯვენე-ექსტრემისტული ჯგუფი“.

დასავლეთ ბერლინის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მოითხოვს ბოლო მოეღოს ნეონაცისტთა და მათ სულიერ თანამოძმეთა პროვოკაციულ გამოსვლებს.

(20 იანვარი. საკდესი).

ფლოდი

● **დასავლეთ ბერლინში** გაიმართა ოთხი სახელმწიფოს ელჩთა მორიგი შეხვედრა. როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, ელჩები კვლავ საქმიანად მსჯელობდნენ საკითხებზე, რომლებიც განხილვის საგანს წარმოადგენს. ისინი შეთანხმდნენ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს 9 თებერვალს.

● **ამერიკის** სამხედროსაჰაერო ძალების ვერტმფრინავებმა კამბოჯაში გადაიყვანეს სამხრეთ ვიეტნამის საზღვაო ქვეითი ჯარის ბრიგადა — ექვსი ათასამდე კაცი.

● **ვიეტნამში** ამერიკელთა დანაშაულის გამოძიების კომისიამ მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც გაავრცელეს მასალები ამ ბოლო ორი წლის მანძილზე შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

● **იტალიაში** 1959-1970 წლებში ცხოვრება 48,1 პროცენტით გაძვირდა. საჭმელი 47,4 პროცენტით, ტანსაცმელი — 38,8 პროცენტით, ბინის ქირა — 94,2 პროცენტით, სხვადასხვა სახეობის მომსახურება, მათ შორის ქალაქის ტრანსპორტით სარგებლობის ღირებულება გაიზარდა 62,2 პროცენტით.

● **იაპონიამ** წყალში ჩაუშვა დიდი ავტომატიზებული ტანკერი „მიცუმინესანმარუ“, რომლის წყალწყვა 220 ათასი ტონაა. მასზე არსებული საანგარიშო-გამოსათვლელი მოწყობილობის საშუალებით ავტომატურად განხორციელდება ნავთობის ჩასხმა და გადმოსხმა, სამანქანო განყოფილების მართვა და კავშირი ნაპირთან.

საკდესი-ასოშიეიტედ პრესი-რეიტერი-ფრანს პრესი.

ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკოკი

მიწეგის კონფისკაცია

ჩილეს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კონფისკაცია უყოს კიდევ 250 მსხვილ მამულს კაუტინის პროვინციაში, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა უაკ ჩონჩოლმა პრესკონფერენციაზე.

ამ დიდ სასოფლო-სამეურნეო პროვინციაში, რომლის გლეხები განსაკუთრებით მძიმე პირობებში ცხოვრობენ, უკვე ექსპროპრიირებულია მემამულეთა რამდენიმე დიდი ადგილ-მამული. ამით დასაბამი მიეცა აგრარული რეფორმის განხორციელებას.

მემამულეთა სამფლობელოების კონფისკაციას მხურვალედ იწონებენ გლეხები და გაფორებით ეწინააღმდეგებიან მიწათმფლობელები. კაუტინის პროვინციაში მემამულენი იარაღით დაესხნენ თავს გლეხებს, რომლებიც მათ მიწებს იყოფდნენ. (20 იანვარი. საკდესი).

ქმანი

ვითარება ნორმალური ხდება

მდგომარეობა ნორმალური ხდება იორდანიის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში.

პირველად სექტემბრის მოვლენების შემდეგ ორივე მხარე მთლიანად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

სრულდება შეთანხმების ისეთი პუნქტები, როგორიცაა პარტიზანული რაზმებისათვის იორდანიის არმიის მიერ ხელში ჩაგდებული იარაღის დაბრუნება და დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

არაბეთის სამხედრო მეთვალყურეთა კომიტეტის მეთაურმა ამედ ჰილმიმ განაცხადა, რომ იორდანიის მთავრობამ გუშინ გადათავისუფლა 60 დაპატიმრებული პარტიზანი და შემდგომ 48 საათში გაათავისუფლებს მეორე ჯგუფსაც. (20 იანვარი. საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლოდი დღეს

იაპონია

ამოიღებენ... 5 ათასი წლის შემდეგ

ტოკიო. 20 იანვარი. (საკდესი). „დროის კაფსულა“, რომელიც ექსპონირებული იყო ოსაკაში „ექსპო-70“ მსოფლიო გამოფენაზე, დღეს მიწაში ჩაფლეს 15 მეტრ სიღრმეზე „ოსაკის სასახლის“ პარკში.

ვარაუდობენ, რომ კაფსულა მიწაში შეინახება 5 ათას წელიწადს, რის შემდეგაც მომავალი თაობები ამოიღებენ მას.

„დროის კაფსულა“ ერთი დიამეტრის ბურთის ფორმისაა და დამზადებულია სპეციალური ფოლადისაგან, რომელმაც უნდა გაუძლოს ესოდენ ხანგრძლივ შენახვას. კაფსულაში არის 2.098 სხვადასხვაგვარი საგანი, რომლებიც ასახავენ თანამედროვეობას.

ამერიკის შეერთებული შტატები

ულტრები არ ცხრებიან

ნიუ-იორკი. 20 იანვარი. (საკდესი). **ამერიკის რეაქციულმა მოღვაწემ ჯ. უოლესმა, რომელიც არ ფარავს თავის რასისტულ და შოვინისტურ შეხედულებებს, გუშინ ფიცი დადო როგორც ალაბამის შტატის გუბერნატორმა. ამასთან დაკავშირებით საკდესის კომენტატორი ლ. უეგალოვი წერს:**

ამერიკის შეერთებული შტატების რასისტული სამხრეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ცნობილი რეაქციონერის უოლესის მორიგი „აღმავლობა“ ადგილობრივ მეთვალყურეთა აზრით, მოწმობს ამერიკელი ულტრების აქტივიზაციას.

რვა წლის წინათ, როცა უოლესმა პირველად დაიკავა ალაბამის შტატის გუბერნატორის პოსტი, მან გამოაცხადა „ლობზენგი“ „სამუდამო სეგრეგაცია“, რომელიც ამერიკელ რასისტთა დროშა გახდა. რასისტმა გუბერნატორმა ალაბამის შტატი გადაქცია ამერიკის შეერთებული შტატების მემარჯვენე ძალების განსრახვათა პრაქტიკული შესრულების „ნიმუშად“. შემდეგ მან თავისი კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის პოსტზე და 1968 წლის არჩევნებში ხმების თითქმის 13 პროცენტი დააგროვა.

ეს ტენდენციები, რომლებიც ახასიათებს ყველაზე რეაქციული და მემარჯვენე ელემენტების გაერთიანებას ყოველივე პროგრესულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ძალაში დარჩა პრეზიდენტის არჩევნების დროს უოლესის დამარცხების შემდეგაც. ამას ცხადყოფს რასისტის ახლანდელი დაწინაურება ალაბამაში. უოლესმა, რომელიც ეყრდნობა თავის თანამზრახველთა მხარდაჭერას მთელ ქვეყანაში, ფიცის დადების ცერემონიაზე განაცხადა, შესაძლოა 1972 წელს კვლავ წამოვაყენო ჩემი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზეო.

საათში 100 კილომეტრი სისწრაფით მომავალი მძიმეწონიანი სატვირთო მატარებელი დაეჯახა საფოსტო ვაგონს, რომელიც ერთ-ერთ ხაზზე იდგა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს სადგურში. სადგურის თანამშრომლები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ, და თავიდან აშორებულ იქნა ადამიანთა დიდი მსხვერპლი. დაიღუპა მხოლოდ ლოკომოტივის მემანქანე.

ფოტო დასავლეთგერმანულ ჟურნალ „კვიკიდან“.

სანტიაგო

მიწეგის კონფისკაცია

ჩილეს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კონფისკაცია უყოს კიდევ 250 მსხვილ მამულს კაუტინის პროვინციაში, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა უაკ ჩონჩოლმა პრესკონფერენციაზე.

ამ დიდ სასოფლო-სამეურნეო პროვინციაში, რომლის გლეხები განსაკუთრებით მძიმე პირობებში ცხოვრობენ, უკვე ექსპროპრიირებულია მემამულეთა რამდენიმე დიდი ადგილ-მამული. ამით დასაბამი მიეცა აგრარული რეფორმის განხორციელებას.

მემამულეთა სამფლობელოების კონფისკაციას მხურვალედ იწონებენ გლეხები და გაფორებით ეწინააღმდეგებიან მიწათმფლობელები. კაუტინის პროვინციაში მემამულენი იარაღით დაესხნენ თავს გლეხებს, რომლებიც მათ მიწებს იყოფდნენ. (20 იანვარი. საკდესი).

ქმანი

ვითარება ნორმალური ხდება

მდგომარეობა ნორმალური ხდება იორდანიის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში.

პირველად სექტემბრის მოვლენების შემდეგ ორივე მხარე მთლიანად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

სრულდება შეთანხმების ისეთი პუნქტები, როგორიცაა პარტიზანული რაზმებისათვის იორდანიის არმიის მიერ ხელში ჩაგდებული იარაღის დაბრუნება და დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

არაბეთის სამხედრო მეთვალყურეთა კომიტეტის მეთაურმა ამედ ჰილმიმ განაცხადა, რომ იორდანიის მთავრობამ გუშინ გადათავისუფლა 60 დაპატიმრებული პარტიზანი და შემდგომ 48 საათში გაათავისუფლებს მეორე ჯგუფსაც. (20 იანვარი. საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატები

მოხერხებული ფანდი

ნიუ-იორკი. 20 იანვარი. (საკდესი). **ამერიკელ დამსჯელთა ოცეულის მეთაურის — ლეიტენანტ უ. კოლის ადვოკატებმა (დამსჯელებმა მხეცურად დაზოცეს სამხრეთ ვიეტნამის სოფელ სონგმის მშვიდობიანი მცხოვრებნი 1968 წლის მარტში) მოახერხეს „გაურკვეველი ვადით“ გადაედოთ სამხედრო ტრიბუნალის სხდომა.**

სასამართლო, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება ფორტ-ბენინგში (ჯორჯიის შტატი), შეწყვიტეს მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხოლო განსასჯელს მოათავსებენ სამხედრო ჰოსპიტალში „ფსიქიატრიული გამოკვლევისათვის“.

კოლის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა გამოიტანა ექიმმა ალბერტ ლა ვერნმა, რომელმაც გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე მკვლელის დაცვა ამყარებდა.

მკვლელთა ადვოკატები კვლავ ძველ ტაქტიკას ადგანან. როგორც უკვე ვიუწყებოდით, რამდენიმე დღის წინათ სამხედრო ტრიბუნალმა ბრალდება მოუხსნა ხოცვა-ჟლეტის ერთ-ერთ მონაწილეს სერჟანტ ხატოს იმ საფუძველზე, თითქოს ის მხოლოდ იმას აკეთებდა, რასაც მისგან მოითხოვდა ოცეულის მეთაური.

ახლა კოლის დაცვა ცდილობს ასევე გაამართლოს იგი და ამტკიცებს, რომ „კოლი ასოულებდა“ ასეულის მეთაურის კაპიტან მედინას მიერ გაცემულ ბრძანებას“. მაგრამ, დღემდე არ გადაუწყვეტიათ მისცენ თუ არა მედინა სამართალში.

ეკონომიური დაქვეითება

გრძელდება

ნიუ-იორკი. 20 იანვარი. (საკდესი). **„ფორდ მოტორის“ კომპანიამ გამოაცხადა, რომ მნიშვნელოვნად ამცირებს ახალი მოდელების ავტომობილების წარმოებას. რამდენიმე ქარხანა დროებით იხურება, სხვებში შემცირდება ცვლების ხანგრძლივობა.**

ამასთან დაკავშირებით ფორდის ქარხნების ადმინისტრაციამ მიჩიგანისა და მისურის შტატებში გამოაცხადა, რომ „გაურკვეველი დროით“ სამუშაოდან ითხოვს 5.500-ზე მეტ მუშას.

ავტომობილების წარმოების ნაწილობრივი შემცირება გამოაცხადეს ავრეთვე „ამერიკენ მოტორს კორპორეიშნისა“ და „კრაისლერის“ კომპანიებმა.

ავტომობილშენებლობაში წარმოების შეზღუდვის ღონისძიებანი კიდევ ერთხელ ადასტურებენ ეკონომიურ დაქვეითებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინგლისი

ბოლო ფანდი

ლონდონი. 20 იანვარი. (საკდესი). **ინგლისის ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტის ანგარიშით, ინგლისში ეკონომიკური ზრდა ამ წლის ბოლოს ალბათ ადგილი ექნება ეკონომიკურ ბუნებრივ ფეხმოკიდებას.**

ანგარიშში ნათქვამია, ინფლაციის ტემპი ინგლისში ამ ბოლო დროს ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე ევროპის ეკონომიკურ ბაზრის ქვეყნებში, ეს ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე ეჭვს ბადებს.

ანგარიშში ნაგულისხმევია, ინფლაციის ტემპი ინგლისში ამ ბოლო ორ-სამ კვარტალში ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ეცემა, ეს ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე ეჭვს ბადებს.

ანგარიშში ნაგულისხმევია, ინფლაციის ტემპი ინგლისში ამ ბოლო ორ-სამ კვარტალში ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ეცემა, ეს ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე ეჭვს ბადებს.

ინგლისი

ბოლო ფანდი

ლონდონი. 20 იანვარი. (საკდესი). **ინგლისის ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტის ანგარიშით, ინგლისში ეკონომიკური ზრდა ამ წლის ბოლოს ალბათ ადგილი ექნება ეკონომიკურ ბუნებრივ ფეხმოკიდებას.**

ანგარიშში ნათქვამია, ინფლაციის ტემპი ინგლისში ამ ბოლო ორ-სამ კვარტალში ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ეცემა, ეს ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე ეჭვს ბადებს.

წერილი ბერლინიდან

სიბრძნე მეგობრობისა

გერმანია - საქართველოს კულტურული ურთიერთობის ერთი ფლის მოსავალი

გერმანელ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საუკეთესო გამოხატულება იყო საქართველოს კულტურის დღეები (1969 წ. ნოემბერი) და თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის 1970 წლის მაისის გასტროლები გერმანიაში.

ზედმეტია განმეორებთ იმაზე ლაპარაკი, რაც თბილისელმა ალბათ საკუთარი პრესის ცნობით იციან იმაზე თუ რაოდენ დიდი მოწონება ჰპოვა ჩვენში ქართველ ხელოვანთა მრავალმხრივმა და მაღალმხატვრული გემოვნებით შერჩეულმა რეპერტუარმა. მოვიყვან მხოლოდ „ბერლინერ-ანსამბლის“ შეფ-რეჟისორის მანფრედ ვეკვერტის შემდეგ სიტყვებს: „სამანიშვილის დედაცაცალის ინსცენირებამ „ჩვენ, თეატრის სპეციალისტებს, დაგვაასვა, თუ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი კლასიკა თანამედროვე სცენაზე, თუ როგორ უნდა იქნეს გაანრებული ხელუხლებელი კერპები და წმიდანები არ არიან“.

სპეციალისტის ამ სიტყვებს განვავრცობთ ბერლინის ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორი თეატრის დარბაზიდან, სადაც ქართველი მსახიობები გამოდიოდნენ: „ყოველი წარმოდგენის დასასრულს ერთი და იმავე სურათის მომსწრენი ვართ — ხანგრძლივი და მჭუხარე ოვაციების შემდეგ სცენაზე მთელი დასი გამოდის და თავის მხრივ ტაშით მიესალმება მაყურებელს. ეს სცენასა და მაყურებელს შორის იმ ურთიერთგაგებისა და ერთობის გამოხატულებაა, რომლის მომსწრენიც ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ შარშან ქართული ანსამბლებისა და კოლექტივების კონცერტებზე. თეატრის დიდი წარმატების დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ის ჭარბემოებაც, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურმა ტელევიზიამ ნოემბერში საათნახევრიანი გადაცემა მოაწყო რუსთაველელთა შესახებ...

ერთ წელზე მეტი გაგიდა საქართველოს სსრ კულტურის დღეების შემდეგ და ჩვენ სრული უფლება გვაქვს ამაყოფილი ვიყოთ იმ შედეგით, რომელიც ამ დღეებმა გამოიღო — კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მოწმენი ვართ გაცხოველებული ურთიერთობისა და თანამშრომლობისა ორ მოძმე ხალხს შორის. საქართველოს დღეებმა იმ რეზონანსსით და წარმატებით, რომელიც მათ წილად ხვდა ჩვენს რესპუბლიკაში, ყველა სხვა აღრინდელ კულტურის დღეებს გადაეჭარბა და ამიტომაც იქცა იმ მრავალმხრივი კონტაქტებისა და ურთიერთობის შესანიშნავ საფუძვლად, თითქოს დასავლეთის ბურჟუაზიულ სისტემას, აღარ იყოს რევოლუციური.

დღევანდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, იტალიის კომუნისტური პარტია ცდილობს მასები აღზარდოს რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით რეაქციის ხრიკების წინაშე.

იტალიელი კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობენ თავისი რიგების ორგანიზაციული და იდეური განმტკიცებისათვის, ფართო პროპაგანდას უწევენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს. ამ მუშაობის დონის ამაღლების

საქართველოს ამბავი — ხალხის

სახალხო უნივერსიტეტი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). კარგი ღონისძიება განხორციელდა ორჯონიკიძის რაიონში, დაბა ორჯონიკიძეში. შეიქმნა კულტურის კიდევ ახალი კერა — მეცნიერული ინფორმაციის სახალხო უნივერსიტეტი. მისი რეკტორატი დაკომპლექტებულია ორჯონიკიძის რაიონში დამბადებული გამოჩენილი მეცნიერებით, მწერლებით, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებით.

გაიმართა სახალხო უნივერსიტეტის პირველი მეცადინეობა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ წაიკითხა საინტერესო ლექცია თემაზე — „ქართული თეატრის განვითარების ისტორია“.

მსმენელებმა ყურადღებით მოუსმინეს მწერალ კლავდია ლეკდანიას, რომელმაც გააანალიზა „ქართული პროზის განვითარების საკითხები.

ფოტოგამოფენა „ქუთაისი“

ეძღვნება საქართველოს 50 წლისთავს

ქუთაისი. (საკ. კორ.). მხატვართა კავშირის სიგამოფენო დარბაზში მოეწყო საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა „ქუთაისი“. გამოფენაზე წარმოდგენილია ქუთაისელი ფოტოიუთხალისტების, ფოტოხელოვნების ოსტატებისა და ფოტომოყვარულების ორასზე მეტი საუკეთესო ნამუშევარი.

მხატვრული და დოკუმენტური სურათები ასახავენ ქუთაისის ძველსა და ახალ ყოფას, მის ინდუსტრიულ მაჯისცემას, კულტურულ ცხოვრებას, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებსა და მათს საქმეებს.

ფოტოგამოფენა დიდი პოპულარობით სარგებლობს და მას ინტერესით ათვალიერებენ.

შენდება, მშვენდება...

● ტყიბული. (საკ. კორ.). ძვირფასი საჩუქარი მიიღეს შახტმშენებლებმა. მათთვის ოქტომბრის ქუჩაზე აშენდა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც 60 ოჯახი ჩასახლდება.

ახლო მომავალში მეშახტეები, შახტმშენებლები და კომუნალური მეურნეობის მუშაკები კიდევ მიიღებენ სამ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს.

● მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება ორჯონიკიძის რაიონული ცენტრი და მისი სოფლები.

დაბა ორჯონიკიძეში აშენდა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. აქვე, ბაღარა ხარაგოულში დამთავრდა ორსართულიანი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღის შენებლობა.

სოფლებში უბნისსა და ბაბში აშენდა კლუბ-კინოთეატრები. ბოლო ხანებში სამუალო სკოლების ახალმა ნაგებობებმა დაამშვენეს სოფლები ლეღვანი და ხევი. (საკ. კორ.).

საჩუქრად მუზეუმს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შოთა რუსთაველის ქანდაკება ამშვენებს ზესტაფონის კულტურისა და დასვენების პარკს. შოთას და აკაკის ძეგლები აღმართულია მეორე სვირის საშუალო სკოლის ეზოში. ამ ქანდაკებების ავტორი იყო თვითასწავლი მხატვარი-მოქანდაკე, სოფელ მეორე სვირის მკვიდრი დავით გაბეხაძე, რომელიც ახლახან გარდაიცვალა.

თვითნასწავლი მხატვარ-მოქანდაკის დ. გაბეხაძის მეუღლემ — ლუბამ ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ტილოზე შესრულებული სურათები. მათ შორის ალსანიშნავია „უმაღლესი საბჭოს არჩევნები მეორე სვირში“, „სვირის წისქვილი“, „ამერული ჯლუღები“, „ხილეულის ნატურმორტი“.

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ...

● ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ძვირფასი საჩუქარი მიიღეს შახტმშენებლებმა. მათთვის ოქტომბრის ქუჩაზე აშენდა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც 60 ოჯახი ჩასახლდება.

ახლო მომავალში მეშახტეები, შახტმშენებლები და კომუნალური მეურნეობის მუშაკები კიდევ მიიღებენ სამ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს.

● ᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ და კეთილმოწყობილი ხდება ორჯონიკიძის რაიონული ცენტრი და მისი სოფლები.

დაბა ორჯონიკიძეში აშენდა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. აქვე, ბაღარა ხარაგოულში დამთავრდა ორსართულიანი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღის შენებლობა.

სოფლებში უბნისსა და ბაბში აშენდა კლუბ-კინოთეატრები. ბოლო ხანებში სამუალო სკოლების ახალმა ნაგებობებმა დაამშვენეს სოფლები ლეღვანი და ხევი. (საკ. კორ.).

ᲨᲔᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲒᲘᲙᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲬᲔᲚᲘᲡᲐᲜᲘ

შეკითხვა: მეუღლის გარდაცვალების შემდეგ არასრულწლოვანი შვილი ბებიასთან და დეიდასთან დარჩა დროებით საცხოვრებლად. შემიძლია თუ არა მოვითხოვო მისი დაბრუნება?

გ. შხაკაძე,
ქუთაისი.

პასუხი: მშობელს, რომელიც შვილთან არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს მასთან და გაილდებულია მონაწილეობაც მიიღოს მის აღზრდაში. გარდა ამისა, მშობელს შეუძლია სასამართლოს სამუალებით მოითხოვოს არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება. სასამართლო მშობლისათვის შვილის დაბრუნების საკითხს წყვეტს შვილის ინტერესების გათვალისწინებით.

შეკითხვა: მამის გარდაცვალების შემდეგ კომლში დარჩა დედინაცვალი, რომელიც ჰყიდის კომლის ქონებას. შემიძლია თუ არა მამის ქონება მივიღო მემკვიდრეობის წესით?

თ. შამათავა,
თბილისი.

პასუხი: კომლის რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი წილი ქონება რჩება კომლის დანარჩენი წევრების გამგებლობაში. თუ კომლის წევრი გარდაცვალების შემდეგ კომლში სხვა წევრები არ დარჩენილან, კომლის ქონება მემკვიდრეობის წესით გადაეცემათ მემკვიდრეებს.

შეკითხვა: რა წესით და რა პირობებში შეიძლება იმ პირის გამოსახლება, რომელმაც საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომი დაიკავა თვითნებურად?

ვ. აბაშიძე,
თბილისი.

პასუხი: ის პირი, რომელიც საცხოვრებელ ან არასაცხოვრებელ სადგომში თვითნებურად ჩასახლდა, გამოსახლებულ უნდა იქნას სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ადმინისტრაციული წესით, პროკურორის დადგენილებით, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩასახლდა იგი სადავო სადგომში.

შეკითხვა: მოქალაქეს, რომელმაც მემკვიდრეობის წესით მიიღო საცხოვრებელი სახლის ნაწილი, შეუძლია თუ არა მისთვის მიკუთვნებული სახლის ამ ნაწილიდან მოითხოვოს მობინადრის გამოსახლება?

ნ. კოზანანაშვილი,
ბორჯომი.

პასუხი: მარტოოდენ საცხოვრებელი სახლის, (სახლის ნაწილის) მემკვიდრეობის წესით მიღებული ფაქტი არ წარმოადგენს მობინადრის გამოსახლების საფუძველს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს არა აქვთ საცხოვრებელი სადგომი ან აქვთ, მაგრამ არასაკმაო, სასამართლოს შეუძლია მათი მოთხოვნა მობინადრის გამოსახლების შესახებ დააკმაყოფილოს.

შეკითხვა: ჩემმა მეუღლემ, რომელმაც შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მიიღო საცხოვრებელი ბინა გზატკეცილების სამმართველოს საუწყებო სახლში, დატოვა ოჯახი და სამუშაოც. ასეთი პირობებში დასაშვებია თუ არა ჩემი და ჩემი პატარა შვილის გამოსახლება?

ვ. უგულავა,
გულრიფში.

პასუხი: საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საწარმოების საუწყებო სახლებიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით დასაშვებია სხვა ბინის მიუცემლად იმ პირის ოჯახის გამოსახლება, რომელმაც საცხოვრებელი ბინა მიიღო შრომითი ურთიერთობის საფუძველზე და შემდეგ დატოვა სამუშაო პირადი სურვილის მიხედვით. მაგრამ თუ ასეთი პირის ოჯახის რომელიმე წევრი მუშაობს იმავე საწარმოში, მაშინ სხვა ბინის მიუცემლად ოჯახის გამოსახლება დაუშვებელია.

შეკითხვა: 1960 წელს სოფლიდან გადავედი მუდმივ საცხოვრებლად ქალაქში. ქალაქში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით შეიძლება თუ არა პენსიის ოდენობის გადიდება?

გ. სხილაძე,
ჭიათურა.

პასუხი: პენსიონერის სოფლიდან ქალაქში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა არ გამორიცხავს დანიშნული პენსიის ოდენობის გადიდებას.

შეკითხვა: კოლმეურნეობაში ვიმუშავე 16 წელი. ახლახან შემასრულდა მოხუცებულობის პენსიის მიღებისათვის საჭირო ასაკი, მეკუთვნის თუ არა მოხუცებულობის პენსია?

ნ. ფიდუაშვილი,
თელავი.

პასუხი: მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ კოლმეურნეობის წევრ ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი. პენსიის მიღებისათვის საჭირო მუშაობის სტაჟში ითვლება ოოგორც კოლმეურნეობაში მუშაობა, ისე სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებაში მუშაობის პერიოდები.

შეკითხვა: ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება თუ არა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდი?

შ. ქერქაძე,
თბილისი.

პასუხი: მეცნიერ მუშაკთა ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში დირექტორის, დირექტორის მოადგილის სამეცნიეო მუშაობის დარგები, სწავლული მდივნის, ლაბორატორიის, განყოფილების, სექტორის, ქვეგანყოფილების ხელმძღვანელის, უფროსი ან უმცროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობებზე მუშაობის პერიოდები.

შეკითხვა: ნამდვილ სამხედრო სამსახურში შეიძლება თუ არა იმ პირის გაწვევა, რომელსაც ქმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და ორი არასრულწლოვანი ძმა?

თ. ხიმშიაშვილი,
გურჯაანი.

პასუხი: ოჯახური მდგომარეობის გამო ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის განვადება ეძლევა იმ პირს, რომელსაც ქმაყოფაზე ჰყავს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი ცოლი ან 16 წლამდე ასაკის დები და ძმები, ან 16 წელზე უხნესი პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი დები და ძმები იმ პირობით, თუ მათ არა ჰყავთ ისეთი პირები (მშობლები პაპა, ბებია, დები, ძმები და სხვ.), რომლებიც კანონის შესაბამისად ვალდებული არიან ისინი შეინახონ, ან თუ არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ისინი მოთავსებულ იქნან საბავშვო სახლებში, ინტერნატებსა და სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებებში.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜ ᲓᲔᲓᲔᲑᲡ

ბურჯაანი. (საკ. კორ.). დიდი ყურადღებითა და პატივისცემით არიან გარემოსილი მრავალშვილიანი დედები. რაიონში სულ 282 მრავალშვილიანი დედაა, რომლებიც სახელმწიფოსაგან ფულად დახმარებას იღებენ. მარტო 1970 წელს რაიონში მრავალშვილიან დედებზე ყოველთვიური და ერთდროული დახმარების სახით გაიცა 13,558 მანეთი.

მრავალშვილიან დედათა ბავშვები პირველ რიგში არიან უზრუნველყოფილი სბავშვო ბაღებისა და ბაგების მომსახურებით, სამკურნალო და სამედიცინო დახმარებით.

ᲙᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ

თელავი. (საკ. კორ.). სერგო ორჯონიკიძის სახელობის თელავის სარეიონთაშორისო სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს ამ დღეებში მორიგ პრემიერად უჩვენა თამაზ ჭილაძის დრამა „სურათები სოჯახო ალბომიდან“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. სებისკვერაძემ, მხატვრულად გააფორმა დ. ბალარაჯიშვილმა, ხოლო მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის გ. დუდუჩავას. სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები პ. ახვლედიანი, მ. ღაღაშვილი, გ. მამუჩიშვილი და გ. პაპოშვილი, მსახიობები ნ. არავიაშვილი, ე. ტუხაშვილი, ო. მუბინთიდე, რ. თინიკაშვილი და სხვები.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ბათუმი. (საკ. კორ.). ტურისტთა პირველი ნაკადი მიიღო ბათუმის ტურბაზამ. ყოველდღე მოდის ახალი ჯგუფები, ისინი ეცნობიან აჭარის ღირსშესანიშნაობებს.

ქალაქის ტურბაზასთან ერთად ტურისტებს მალე მიიღებს მწვანე კოცონის ბაზა, ხოლო გაზაფხულიდან ამუშავდება ჩაქვისა და ციხისძირის ბაზები. წელს 40 ათასამდე ტურისტი ნახავს აჭარას.

ᲞᲠᲘᲖᲘ „ᲚᲘᲐᲮᲕᲘ“ ᲓᲐᲠᲩᲐ

თბილისში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. ლაპარაკია ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების იმ ტურნირზე, რომელიც უკვე მეოთხეჯერ მოაწყო თბილისის სპორტის სახლმა. ცამეტმა ასეთმა კოლექტივმა აიღო სტარტი. არა ერთი მიმზიდველი შეხვედრის მოწმენი ვიყავით, და აი ფინალიც: 19 იანვარს „ლიახვსა“ (ლღლანის სკოლა-ინტერნატი ს გუნდი) და „ავაზას“ (საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტთან არსებული სპეციალიზებული სკოლის გუნდი, რომელსაც წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. მესხი) შორის. გაიმარჯვა „ლიახვმა“ 3:2 და მეორეჯერ მოიპოვა პრიზი. მომდევნო ადგილები დაიკავეს „ავაზამ“ და „სინათლემ“.

სურათებზე: ზევით — ტურნირის მატჩის ერთი მომენტი; შუაში — ნორჩი მაყურებლები გაფაციცებით ადევნებენ თვალს თანატოლთა სპორტულ დავას; ქვევით — სპორტის სასახლის დირექტორი გ. ეფანტიშვილი გამარჯვებული გუნდის წარმომადგენელს გადასცემს გარდამავალ პრიზს — თასს.

ფოტო ᲐᲐ. ᲙᲐᲛᲙᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲙᲘ ᲞᲐᲛᲘᲠᲨᲘ

ბევრი სახელოვანი ფეხბურთელი ჩაწერეს საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ქართველმა მთამსვლელებმა. ისინი ყოველთვის ირჩევდნენ ურთულეს გაუკვალავ მარშრუტებს და ასულან ჩვენი ქვეყნის თოვლმოსილ ყველა მთის მასივების მწვერვალებზე.

1957 წელს პამირზე, დარვაზის მთებში, გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის რაიონში საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციამ, რომელსაც ოთარ გიგინეიშვილი მეთაურობდა, განახორციელა დარვაზის ქედის ტრავერსი. მაშინ გუნდი ოქროს მედლებით დაჯილდოვეს.

მყინვარის რაიონში ექსპედიციის მონაწილეებმა დაინახეს უსახელო მწვერვალი, რომელზეც ჯერ ადამიანს არ დაედგა ფეხი. ქართველმა ალპინისტებმა მას თბილისის პიკი უწოდეს, მაგრამ რამდენადაც მწვერვალისათვის სახელის დარქმევის უფლება მხოლოდ პირველ ამსვლელებს აქვთ, ეს სახელი პირობითი დარჩა.

გასული წლის ზაფხულზე ქართველ ალპინისტთა შემდეგ გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის რაიონში პირველად მივიდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინისტთა ჯგუფი. სპორტსმენები ე. პეტროვი (ხელმძღვანელი), ა. ბორეეიჩი, ი. ეფიმოვი, ლ. ტოროპოვი და ვ. ბიმაევი ავიდნენ 5.988 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე და, პირველამსვლელთა უფლებით დაადასტურეს ქართველ ალპინისტთა მიერ დარქმეული სახელწოდება — მწვერვალს დაარქვეს თბილისის პიკი.

მწვერვალზე ასვლა ლენინგრადელებმა მიუძღვნეს ქართველი ხალხის მომავალ დღესასწაულს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

თბილისის პიკი ტექნიკურად რთულია და გზა, რომლითაც ლენინგრადელები მწვერვალზე ავიდნენ დასავლეთი თხემით, შეაფასეს სიძნელის უმაღლესი, მეხუთე კატეგორიით.

ყოველივე ეს საქდესის კორესპონდენტს უამბო საქართველოს ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ო. გიგინეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ქართველი ალპინისტები, მთელი ქართველი სპორტული საზოგადოებრიობა ლენინგრადელი სპორტსმენების მადლობელი არიან ამ წვლილისათვის რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობის შემდგომი განვითარების საქმეში. (საქდესი).

სურათზე: თბილისის პიკი პამირზე.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲩᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲩᲕᲔᲜ გამოვაქვეყნეთ ცნობილ იუგოსლავიელ ჟურნალისტ დ. ბელიცას საუბარი რ. ფიშერთან. იქვე აღნიშნული იყო, რომ ამერიკელი გროსმაისტერის შემცვლელ დ. ბელიცა ესაუბრა მსოფლიოს ჩემპიონ ბ. სპასკისა და გამოჩენილ დანიელ მოჭადრაკეს ბ. ლარსენს.

რ. ფიშერთან ინტერვიუ წაიკითხა ორივე გროსმაისტერმა, რომლებიც „საუკუნის მატჩში“ ერთმანეთს ებრძოდა პირველ დაფაზე — ბორის სპასკიმ და პენტ ლარსენმა. ისინი ჩაერთნენ საუბარში და გამოვიდა სამი გამოჩენილი, გროსმაისტერის დაუსწრებელი დისკუსია.

ფიშერი ამბობს, რომ სპასკის შემცდომები მოსდიოდა მსოფლიო ჩემპიონობაზე გამართულ მატჩში, რომ მას პეტროსიანისა შეშინოდა.

სპასკი: — იოლია გმირი იყო, როდესაც ბრძოლაში არ მონაწილეობ და მხოლოდ თვალს ადევნებ.

ლარსენი: — შეცდომები მართლაც იყო. მე მეგონა, რომ პეტროსიანი გამიმარჯვებდა, მაგრამ მან ვერ გამოიყენა თავისი შანსები, როდესაც ანგარიში გაათანაბრა.

ბობი თქვა: „რამდენადაც მე დიდი ხანია არ მითამაშია, ამიტომ სპასკის ჩემს წინააღმდეგ ბელგრადში თანაბარი შანსები აქვს“. მაგრამ მას ხომ პეტროსიანთან მოუხდა თამაში. აი სპასკი-ფიშერის მატჩი რომ შემდგარიყო?

სპასკი: — მე არ ვიცი, ვინ მოიგებდა. ფიშერს უფრო სიამოვნებით ვეგებდებოდი, ვიდრე ლარსენს, რადგან დანიელთან ძალიან ბევრჯერ მითამაშია.

ლარსენი: — არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებდა სპასკი-ფიშერის მატჩში. მე კი უნდა მოგახსენოთ — დარწმუნებული ვიყავი, რომ სპასკის დავამარცხებდი. იმავეს ვიტყოდი, პეტროსიანთან რომ შეთამაშა.

ვის აკვს ყველაზე დიდი შანსი სპასკის მეტოქად გახდეს?

სპასკი: — პეტროსიანს.

ლარსენი: — თქვენ თვით იცით, რომ ჩემი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონს მე შევხვდები. მე რომ არ ვიყო დარწმუნებული ჩემს წარმატებებში სხვა პრეტენდენტებთან შედარებით, მაშინ ბრძოლაში საერთოდ არ ჩავებმებოდი.

ფიშერი დაეთანხმა კორჩნოის, რომ სპასკი ზარმაცია. კორჩნოი, ბარდა ამისა, თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ტახტზე მხოლოდ 3 წელს დარჩება.

სპასკი: — დიახ, მე ზარმაცი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაქვს შანსები შევინარჩუნო მსოფლიოს ჩემპიონობა 3 წელიწადზე მეტ ხანს. თუნდაც იმიტომ, რომ ის, რასაც ამბობს ხოლმე კორჩნოი, არასოდეს არ მართლდება.

ლარსენი: — მეც მგონია, რომ სპასკი ზარმაცია, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ასეთივე ზარმაცი იყო კაპაბლანკა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონობა დიდ ხანს (6 წელიწადს) შეინარჩუნა.

რობერტი იქნება ჩვენი დროის ყველაზე სანინტერესო შეხვედრა?

სპასკი: ასეთები იქნებოდა მატჩები ფიშერისა ტალთან, კორჩნოისთან ან ჩემთან.

ლარსენი: — ყველაზე საინტერესო იქნებოდა კორჩნოი-ფიშერის მატჩი.

ვინ არის დღეისათვის უძლიერესი მოჭადრაკე მსოფლიოში? ფიშერი თავში თავს უძლიერესად თვლის.

სპასკი: — შესაძლოა ფიშერი მართალია, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მან გაიცილებინა უფრო მეტი უნდა ითამაშოს.

ლარსენი: — თანამედროვეობის ყველაზე ძლიერი მოჭადრაკე ლარსენია. მე ამას ორიგინალობის გულისათვის როი გავბობ. მე ასე მწამს. ვინი მგმინიათ სპორტსმენ დაფასთან?

სპასკი: — საკუთარი თავისა.

ლარსენი: — არავინი არ მგმინია. შეშფოთებული თუ არა ფიშერს მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს?

სპასკი: — პეტროსიანს.

ლარსენი: — თქვენ თვით იცით, რომ ჩემი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონს მე შევხვდები. მე რომ არ ვიყო დარწმუნებული ჩემს წარმატებებში სხვა პრეტენდენტებთან შედარებით, მაშინ ბრძოლაში საერთოდ არ ჩავებმებოდი.

ფიშერი დაეთანხმა კორჩნოის, რომ სპასკი ზარმაცია. კორჩნოი, ბარდა ამისა, თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ტახტზე მხოლოდ 3 წელს დარჩება.

სპასკი: — დიახ, მე ზარმაცი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაქვს შანსები შევინარჩუნო მსოფლიოს ჩემპიონობა 3 წელიწადზე მეტ ხანს. თუნდაც იმიტომ, რომ ის, რასაც ამბობს ხოლმე კორჩნოი, არასოდეს არ მართლდება.

ლარსენი: — მეც მგონია, რომ სპასკი ზარმაცია, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ასეთივე ზარმაცი იყო კაპაბლანკა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონობა დიდ ხანს (6 წელიწადს) შეინარჩუნა.

რობერტი იქნება ჩვენი დროის ყველაზე საინტერესო შეხვედრა?

სპასკი: ასეთები იქნებოდა მატჩები ფიშერისა ტალთან, კორჩნოისთან ან ჩემთან.

ლარსენი: — ყველაზე საინტერესო იქნებოდა კორჩნოი-ფიშერის მატჩი.

ვინ არის დღეისათვის უძლიერესი მოჭადრაკე მსოფლიოში? ფიშერი თავში თავს უძლიერესად თვლის.

სპასკი: — შესაძლოა ფიშერი მართალია, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მან გაიცილებინა უფრო მეტი უნდა ითამაშოს.

ლარსენი: — თანამედროვეობის ყველაზე ძლიერი მოჭადრაკე ლარსენია. მე ამას ორიგინალობის გულისათვის როი გავბობ. მე ასე მწამს.

ᲕᲘᲜᲘ ᲛᲒᲛᲘᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲠᲐᲙᲔ ᲓᲐᲤᲐᲡᲗᲐᲜ?

სპასკი: — საკუთარი თავისა.

ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘ: — არავინი არ მგმინია.

ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲤᲘᲨᲔᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ?

ᲜᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐ ᲨᲔᲓᲒᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡᲨᲘ მოეწყო დეევისის თასის გათამაშების ევროპის ზონის ნაკრები გუნდების წილისყრა ჩოგბურთში. წყვილთა დაკომპლექტებაში მხედველობაში იყო მიღებული გასული წლის შედეგები.

„Ა“ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ პირველი წრის მატჩები ერთმანეთს შეეხვდებიან: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთისა და ბელგიის, დანიისა და სსრ კავშირის, ფინეთისა და ირლანდიის და შვეიცარიისა და საფრანგეთის გუნდები. მეორე წრიდან ბრძოლაში ჩაებმებიან შვეიცარიისა და ესპანეთის გუნდები.

„Ბ“ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ სპორტული დაგა ექნებათ: უნგრეთისა და პოლონეთის, ლუქსემბურგისა და მონაკოს, იუგოსლავიისა და დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და ბულგარეთის, რუმინეთისა და პოლანდიის და ისრაელისა და ნორვეგიის გუნდებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავსტრიის ჩოგბურთელები ასპარეზობაში მეორე წრიდან ჩაებმებიან.

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

Ვ. ᲥᲐᲠᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲒᲝᲠᲘ. 20 იანვარი. (ტელეფონით. სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა გ. ქართველაძის ხსოვნის საქალაქო ტურნირის მეცხრე ტური.

გურგენიძე-შტეინის პარტიაში ბ. გურგენიძემ (ყიტენოტში ფიგურა დაკარგა და დამარცხდა, პოდგაიცმა მოუგო ბოკუჩავას. ტურნირის ლიდერების გუფუელდისა და ფურმანის პარტიაში მეტოქენი ყოფილნი შეთანხმდნენ. ყოფილი დამთავრდა აგრეთვე პლატონოვ-მიქაძის პარტია.

დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა. ჯანეიხაშვილს მცირე უპირატესობა აქვს ტბილელ ეკათან ჯადგებულ პარტიაში. კუფთაშვილის პოზიცია უარესია საკონდ. გაგუა-ალექსანდრიას პარტიაში ,,დგომარეობა შედარებით რთულია.

ცხრა ტურის შემდეგ წინ არის თბილისელი გროსმაისტერი ე. გუფელდი — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ს. ს. ,,ფურმანს 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ᲝᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲐᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქ ბევერვეიკში მიმდინარეობს ტრადიციული ასპარეზობა ჭადრაკში — „ᲰᲝᲒᲜᲝᲕᲔᲜ-ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ“. მეშვიდე ტურში ანდერსონმა მოუგო დონერს, ბიუბნერმა — ნაიდორფს, ოლაფსონ-პეტროსიანისა და ბორტ-კორჩნოის პარტიები ყაიმით დამთავრდა. შეექმნა ტურის გადადებული პარტიდან პეტროსიანმა დამარცხა მეკინგი. ტურნირის ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან ანდერსონი და ბორტი, რომლებსაც ხუთ-ხუთი ქულა აქვთ. ბიუბნერსა და ოლაფსონს 4.5 4.5 ქულა აქვთ, კორჩნოის, პეტროსიანსა და გლიგორიჩს — ოთხ-ოთხი ქულა.

ᲑᲣᲜᲘᲜ თბილისში საზეიმოდ დაიხურა საქალაქო ფესტივალი, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი. ეიფთა შორის გამარჯვა ვ. ირაგვაძემ (სამტრედია, 9 ქულა 11-დან), ქალთა შორის ვ. შუღლაშმა (თბილისი, 8 ქულა 8-დან). გენდერ ალპარეზობაში წარმატება ხვდა თბილისის „კრისტალს“.

Ш. Ჯ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელმა შალვა კოზმანის-ძე მახარაძემ ნ. ხარიძისთვის სახელობის პრემიაზე ოჯახის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲜᲯᲘᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲝᲮᲐᲚᲔᲑᲝᲜᲐᲨᲘ“.

სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დამტკიცა შ. ჯ. მახარაძისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ ჟურნალ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲜᲯᲘᲜᲐᲡ“ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსი გამოცხადდა საუკეთესო გამოგონებისათვის, რომელიც დიდ ეკონომიას იძლევა სახალხო მეურნეობას. პირველი პრემია